

.შპს „ევრაზიის ექსპრესი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7-13

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

	შენიშვნა:	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	29,798	34,044
არამატერიალური აქტივები		491	491
სულ გრძელვადიანი აქტივები		30,289	34,535
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	6,257,112	5,858,265
სავაჭრო მოთხოვნები	8	236,733	301,343
გადახდილი ავანსები		8,996	11,181
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		21,409	21,409
სხვა მიმდინარე აქტივები	8	399,617	252,697
სულ მიმდინარე აქტივები		6,923,867	6,444,895
სულ აქტივები		6,954,156	6,479,430
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		6,243,571	5,756,545
სულ საკუთარი კაპიტალი		6,245,571	5,758,545
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	563,856	636,426
სხვა ვალდებულებები	9	144,729	84,459
სულ ვალდებულებები		708,585	720,885
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,954,156	6,479,430

დირექტორი:

გ. სხირტლაძე

ბუღალტერი:

ი. სიამაშვილი

ქ. თბილისი

22 სექტემბერი 2025 წელი

7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გვერდი 3 – 13

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	4,351,121	5,910,686
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(3,751,182)	(5,058,417)
საერთო მოგება		599,939	852,269
სხვა საოპერაციო შემოსავლები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(463,215)	(536,661)
საოპერაციო მოგება		136,724	315,608
შემოსავალი ბანკის პროცენტიდან		396,992	121,222
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)		202,506	(98,583)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		736,222	338,247
მოგების გადასახადი		(19,196)	(68,636)
წმინდა მოგება		717,026	269,611
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		717,026	269,611

დირექტორი:

ბუღალტერი:

ქ. თბილისი

22 სექტემბერი 2025 წელი

გ. სხირტლაძე

ი. სიამაშვილი

7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ვერაზიის ექსპრესი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „ვერაზიის ექსპრესი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის
31 დეკემბერს

(ლარებში)

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,525,767	5,940,689
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4,396,082)	(5,486,413)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	91,396	(322,196)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	221,081	132,080
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(726)	(29,906)
მიღებული პროცენტები	396,992	121,222
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	396,266	91,316
საფინანსო საქმიანობა		
დივიდენდების გადახდა	(218,500)	(1,195,000)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(218,500)	(1,195,000)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	398,847	(971,604)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	5,858,265	6,829,869
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	6,257,112	5,858,265

დირექტორი:

გ. სხირტლაძე

ბუღალტერი:

ი. სიამაშვილი

7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გვერდი 5 – 13

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „ევრაზიის ექსპრესი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი - 31.12.2022 წ.	2,000	6,744,830	6,746,830
2022 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)		269,611	269,611
დივიდენდის განაწილება		(1,257,896)	(1,257,896)
ნაშთი - 31.12.2022 წ.	2,000	5,756,545	5,758,545
2023 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)		717,026	717,026
დივიდენდის განაწილება		(230,000)	(230,000)
ნაშთი - 31.12.2023 წ.	2,000	6,243,571	6,245,571

ფირექტორი:

გ. სხირტლაძე

ბუღალტერი:

ი. სიამაშვილი

7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გვერდი 6 – 13

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრაზიის ექსპრესი“ დაფუძნდა 1998 წლის 3 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არიან:

- გიორგი სხირტლაძე 38.068%;
- გივი ბლიაძე 38.068%;
- ნოშრევან ფავლენიშვილი 7.045%;
- თინათინ მუჯირიშვილი 6.136%;
- თეონა კილაძე 5.341%;
- ნინო დავითაია 5.341%;

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირები არიან: გიორგი სხირტლაძე-გენერალური დირექტორი და გივი ბლიაძე-აღმასრულებელი დირექტორი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები, სატვირთო სატრანსპორტო მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 108

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფუნქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის

განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ანგარიშგების გამოშვების მომენტისათვის კომპანია არ გააჩნია სასამართლო დავები.

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. წარმოდგენილი ორგანიზაციის მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ზანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება გადაზიდვების მომსახურების საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის სტრუქტურა	5 - 10
ავტო და სხვა ინვენტარი	5 - 10

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ავეჯი	ოფისის აღჭურვილობა და მოწყობილობები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	19,653	38,567	-	58,220
შემოსვლა		20,465	9,441	29,906
გასვლა				-
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	19,653	59,032	9,441	88,126
შემოსვლა		726		726
გასვლა				-
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	19,653	59,758	9,441	88,852
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(18,857)	(34,314)		(53,171)
ცვეთა 2023	(165)	(746)		(911)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(19,022)	(35,060)	-	(54,082)
ცვეთა 2024	(132)	(4,840)		(4,972)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	(19,154)	(39,900)		(59,054)
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 31.12. 2022	796	4,253	-	5,049
საბალანსო ღირებულება 31.12. 2023	631	23,972	9,441	34,044
საბალანსო ღირებულება 31.12. 2024	499	19,858	9,441	29,798

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	1,254	720
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	845,001	849,620
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,410,857	5,007,925
	6,257,112	5,858,265

8. სავაჭრო და სხვა მიმდინარე აქტივები

	2024	2023
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	236,733	301,343
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	353	312
საგადასახადო აქტივი	18,271	29,229
წინასწარ გაწეული ხარჯები	380,993	223,156
	636,350	554,040

9. სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	2024	2023
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	563,858	636,428
მიღებული ავანსები	105,395	41,488
ვალდებულებები ტრანსპორტირების მომსახურებიდან	1,420	1,470
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	37,912	41,499
	708,585	720,885

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საკმეოვებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა:

2024 წელს - 4 351 121 ლარი

2023 წელს - 5 910 686 ლარი

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენიარად:

	2024	2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	317,440	391,083
ცვეთა და ამორტიზაცია	4,972	912
იჯარი ხარჯი	84,960	83,360
კომუნიკაციის ხარჯები	11,052	9,343
კუმუნალური ხარჯები	5,961	5,027
თანამშრომელთა და ბიზნესის დაზღვევის ხარჯი	20,931	21,403
ბანკის მომსახურება	3,188	3,748
საოფისე ხარჯები	8,019	17,133
მივლენება, რეკლამა და წარმომადგენლობითი ხარჯი	3,850	896
სხვა საერთო ხარჯი	2,842	3,756
	463,215	536,661

12. პოტენციური ვალდებულებები**ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში**

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპერაციებს, თუ ამ ოპერაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

13. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დირექტორზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	100,657	164,713

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 22 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.